თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 7

ქ. თელავი 2019 წლის 19 ივნისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიგა მამუკელაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნიკოლოზ მაისურაძე, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ბაადურ რევაზიშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება -მწვანეები''-ს თავმჯდომარე გიორგი ჩაბრაშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,საქართველოს პატრიოტთა ალიანსი''-ს თავმჯდომარე არჩილ თვალიაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი გიორგი ენუქიძე, ამავე სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების უფროსი ეკატერინე მიქელაძე.

დღის წესრიგი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს. გ. მამუკელაშვილი

მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N71 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა პროგრამის დამტკიცების შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გიგა მამუკელაშვილმა მიმართა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსს გაეკეთებინა განმარტება პროგრამაში ცვლილებასთან დაკავშირებით.

გიორგი ენუქიძემ აღნიშნა, რომ ცვლილების შეტანის მიზანია ჯანდაცვის ქვეპროგრამების შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფა და შესაძლებლობის ფარგლებში ბენეფიციართა განცხადებების დაკმაყოფილება რაც მოითხოვს ფულადი სახსრების მობილიზებას.

ვინაიდან 2018 წელთან შედარებით, სამედიცინო მომსახურების დაფინანსებისა და სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებების ან/და მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამაზე მოქალაქეთა მომართვიანობა საკმაოდ გაიზარდა, შედეგად კი აღნიშნულ ქვეპროგრამებში გათვალისწინებული თანხები დღეის მდგომარეობით თითქმის მთლიანად ამოიწურა, და 2019 წლის ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების მოძიება ვერ მოხერხდა, გამოიწვია ცვლილების შეტანა პროგრამაში რომლის თანახმად 150 000 ლარით მცირდება სოციალურად დაუცველი ოჯახების ზამთრის სეზონზე სათბობით უზრუნველყოფის დაფინანსება კერძოდ: სოციალურად დაუცველი ოჯახების

მონაცემთა ერთიან ბაზაში თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა ოჯახს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, მიეცემა დაფინანსება 100 ლარის ოდენობით. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ჯანდაცვის ქვეპროგრამების ფუნქციონირების შეწყვეტა, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

გიგა მამუკელაშვილმა აღნიშნა, რომ იმედია მიმდინარე წლის ბოლომდე გამოინახება ბიუჯეტში ფინანსური სახსრები სოციალური პროგრამების ბიუჯეტის გასაზრდელად.

კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ ცვლილებას.

გადაწყვიტეს: მერიის მიერ ინიცირებული პროექტი წარდეგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გ. მამუკელაშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

2019 წლის 19 ივნისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ლევან კოჭლოშვილი
2. გიგა მამუკელაშვილი
3. იოსებ პარწიკანაშვილი
4. ნიკოლოზ მაისურაძე
5. გიორგი ქიზიყელაშვილი
6. მიხეილ გრემელაშვილი
7. ლევან ლილუაშვილი
8. ბაადურ რევაზიშვილი